განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნების შესრულება;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად;

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

<u>პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:</u>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 156,761.6 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 73,153.6 ათას ლარს. მათ შორის:

ქონების გადასახადი - 25,200.0 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადი - 47,953.6 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 29,900.0 ათასი ლარით: მათ შორის:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერი - 29,900.0 ათასი ლარი;

2019 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 43,008.0 ათასი ლარის ოდენობით:

- საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,408.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 500.0 ათასი ლარის მობილიზება;
- დივიდენდები სახით დაგეგმილია 838.0 ათასი ლარის მობილიზება;
- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,070.0 ათასი ლარის ოდენობით.

• საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 35,000.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 35,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

• ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,700.0 ათასი ლარის ოდენობით.

• შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 900.0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 10,700.0 ათასი ლარით.

პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 156,761.6 ათას ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

• ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 59.6% - 93,438.8 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 22,115.6 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 37,173.6 ათასი ლარი;
- პროცენტი - 5,340.0 ათასი ლარი;
- გრანტები - 25.5 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 13,739.7 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 9,160.8 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 5,883.6 ათასი ლარი;

• მთლიანი ასიგნებების 30.9% - 48,369.7 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე (შეძენაზე).

• მთლიანი ასიგნებების 0.5% - 712.6 ათასი ლარი მოდის ფინანსური აქტივების ზრდაზე (შპს-ების კაპიტალის ზრდაზე).

• ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 14,240.5 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 9,1%-ია.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

ვ) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ინფორმაცია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელებული ცვლილების შესახებ

(ათას ლარებში)

დასახელება	2019 წლის პროექტი (პირველი წარდგენა)	2019 წლის პროექტი (მეორე წარდგენა)	ცვლილება +/-
შემოსულობები	**154,361.6**	**156,761.6**	**2,400.0**
შემოსავლები	144,561.6	146,061.6	1,500.0
გადასახადები	73,153.6	73,153.6	
გრანტები	28,400.0	29,900.0	1,500.0
სხვა შემოსავლები	43,008.0	43,008.0	
არაფინანსური აქტივების კლება	9,800.0	10,700.0	900.0
გადასახდელები	**154,361.6**	**156,761.6**	**2,400.0**
ხარჯები	92,837.1	93,438.8	601.7
შრომის ანაზღაურება	22,264.4	22,115.6	-148.8
საქონელი და მომსახურება	36,875.1	37,173.6	298.5
პროცენტი	5,340.0	5,340.0	
სუბსიდიები	13,739.7	13,739.7	
გრანტები	25.5	25.5	
სოციალური უზრუნველყოფა	9,160.8	9,160.8	
სხვა ხარჯები	5,431.6	5,883.6	452.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	44,904.0	48,369.7	3,465.7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	2,380.0	712.6	-1,667.4
ვალდებულებების კლება	14,240.5	14,240.5	
ნაშთის ცვლილება			

ინფორმაცია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელებული ცვლილების შესახებ

შემოსულობების ცვლილება

(ათას ლარებში)

№	დასახელება	თანხა	შენიშვნა
1	**გრანტები**	**1,500.0**	
	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	1,500.0	გაიზარდა საპროგნოზო მოცულობა
2	**სხვა შემოსავლები**		
	დივიდენდები	338.0	გაიზარდა საპროგნოზო მოცულობა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები
	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	-838.0	ამოღებულ იქნა მოსაკრებლის საპროგნოზო ოდენობა
	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	500.0	გაიზარდა საპროგნოზო მოცულობა
3	**არაფინანსური აქტივები**	**900.0**	
	არამწარმოებლური აქტივები	900.0	გაიზარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მისაღები თანხის საპროგნოზო მოცულობა
	ჯამი	**2,400.0**	

გადასახდელების ცვლილება

(ათას ლარებში)

პროგრამ. კოდი	დასახელება	თანხა	შენიშვნა
		საბიუჯეტო სახსრები	
01 02	**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია**	**-187.9**	
	შრომის ანაზღაურება	-148.8	მცირდება ღონისძიების დაფინანსება
	საქონელი და მომსახურება	-39.1	
01 08	**მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება**	**20.0**	
	საქონელი და მომსახურება	20.0	იზრდება ღონისძიების დაფინანსება
02 01 02	**საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა**	**6,973.1**	
	არაფინანსური აქტივები	6,973.1	იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, გაიზარდა ღონისძიებების დაფინანსების 2019 წლის საპროგნოზო გეგმა
02 01 05	**საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა**	**-4,038.4**	განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
	არაფინანსური აქტივები	-4,038.4	ღონისძიება გადავიდა 02 01 02 პროგრამულ კოდში
02 01 03	**გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა**	**2,787.5**	
	საქონელი და მომსახურება	2,772.5	ღონისძიება გადმოტანილ იქნა 02 01 06 პროგრამულ კოდიდან
	არაფინანსური აქტივები	15.0	
02 01 06	**გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა**	**-2,787.5**	განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
	საქონელი და მომსახურება	-2,772.5	ღონისძიება გადავიდა 02 01 03 პროგრამულ კოდში
	არაფინანსური აქტივები	-15.0	
02 02 03	**ბათუმის ავტობუსების პროექტის თანადაფინანსება**	**-1,800.0**	
	ფინანსური აქტივები	-1,800.0	ამოღებულ იქნა ქვეპროგრამა
02 03 02	**წყლის სისტემების რეაბილიტაცია**	**132.6**	
	ფინანსური აქტივები	132.6	დაემატა ახალი ღონისძიება: სს "აჭარის წყლის ალიანსის" კაპიტალის ზრდა
02 04 03	**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება**	**464.5**	
	სხვა ხარჯები	464.5	იზრდება ღონისძიების დაფინანსება (2018 წლის ბიუჯეტიდან გადმოდის ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია და ასევე ემატება სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები)
02 07 01	**ქალაქის გაფორმების ღონისძიებები**	**31.0**	
	არაფინანსური აქტივები	31.0	იზრდება ღონისძიების დაფინანსება (გადმოდის 2018 წლის ბიუჯეტიდან, 9 აპრილის ხსოვნისა და დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავი მემორიალის განთავსება და ტერიტორიის კეთილმოწყობა)

03 01 01	**ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	**392.1**	
	საქონელი და მომსახურება	392.1	იზრდება ღონისძიების დაფინანსება
05 01 01	**მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**25.0**	
	საქონელი და მომსახურება	25.0	იზრდება ღონისძიების დაფინანსება, დაემატა ახალი ღონისძიების - ქართული ჭიდაობის დაფინანსება
05 02 01	**ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი**	**-25.0**	
	საქონელი და მომსახურება	-25.0	მცირდება ღონისძიების დაფინანსება
05 04 04	**ხელოვანთა ხელშეწყობა**	**-12.5**	
	სხვა ხარჯები	-12.5	მცირდება ღონისძიების დაფინანსება
05 06 01	**ახალგაზრდული ცენტრი**	**-17.0**	
	საქონელი და მომსახურება	-17.0	მცირდება ღონისძიების დაფინანსება
05 06 02	**ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა**	**29.5**	
	საქონელი და მომსახურება	29.5	იზრდება ღონისძიების დაფინანსება
07 01 01	**ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა**	**500.0**	
	არაფინანსური აქტივები	500.0	იზრდება ღონისძიების დაფინანსება (ღონისძიება გადმოდის 2018 წლის ბიუჯეტიდან)
08 01 02	**ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო**	**124.4**	
	საქონელი და მომსახურება	124.4	იზრდება ღონისძიების დაფინანსება
08 01 04	**თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა**	**-211.4**	
	საქონელი და მომსახურება	-211.4	მცირდება ღონისძიების დაფინანსება
		2,400.00	